ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №154

2011 წლის 15 დეკემბერი
ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 17 ივნისის №74 განკარგულებით დამტკიცებულ „სპორტული საკლუბო გუნდის მხარდაჭერის პროგრამა"-ში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი"-ს 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. შევიდეს ცვლილება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 17 ივნისის №74 განკარგულებით დამტკიცებულ „სპორტული საკლუბო გუნდის მხარდაჭერის პროგრამა"-ში თანახმად დანართისა.

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, მეცნიერების, სპორტისა და ტურიზმის საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (ჯ. ჯინჭარაძე).

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №-30).

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

.

საკრებულოს თავმჯდომარე ნ. ბერაძე